საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი, 2026 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/02

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-9 და 38-ე მუხლების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების“ პირველი და მე-12 მუხლების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. 2026 წლის 25 სექტემბერს გამოცხადდეს არჩევნები სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბხსუ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის 4 წლის ვადით დასაკავებლად.
2. ბხსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უმაღლესი განათლების მქონე პირმა, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო ან/და ადმინისტრაციულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №103), 2026 წლის 01 ოქტომბრიდან 2026 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით, გარდა შაბათ-კვირისა, 10:00 საათიდან - 16:00 საათამდე.
4. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება (შევსებული წინამდებარე დადგენილების დანართი №1-ის შესაბამისად);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

დ) ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ (შენიშვნა: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე

კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება.) გაცემული განცხადების წარმოდგენამდე 15 დღის ვადაში;

ე) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

ვ) ავტობიოგრაფია (CV);

ზ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

თ) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) სამოქმედო გეგმა.

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს 2026 წლის 13 ოქტომბერს, 12 საათსა და 30 წუთზე.

6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისათვის ფარული კენჭისყრა (არჩევნები) ჩატარდეს 2026 წლის 13 ოქტომბერს 13 საათსა და 30 წუთზე.

7. ბხსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა რეგისტრაცია და არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბხსუ-ს წესდებით, ბხსუ-ში არჩევნების ჩატარების დებულებით და წინამდებარე დადგენილების შესაბამისად.

8. ბხსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება (დანართი №2) არაუგვიანეს 2026 წლის 25 სექტემბრისა გამოქვეყნდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და უნივერსიტეტში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე).

9. წინამდებარე დადგენილებისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის აიტი მენეჯერს.

10. დადგენილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს, აიტი მენეჯერს, იურისტს და საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.

11. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

12. დადგენილება ძალაშია ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მ. ალაფიშვილი**